

## შპს „პალა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

|                                                                           |   |
|---------------------------------------------------------------------------|---|
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... | 1 |
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....                  | 3 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....          | 4 |

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| 1. კორპორატიული ინფორმაცია .....                                   | 5  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                      | 5  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....              | 6  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....          | 9  |
| 5. ბინების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და თვითღირებულება ..... | 9  |
| 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი .....                           | 9  |
| 7. ძირითადი საშუალებები .....                                      | 10 |
| 8. სასაქონლო მატერიალური მარაგები .....                            | 11 |
| 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                | 11 |
| 10. საგადასახადო აქტივი .....                                      | 11 |
| 11. გაცემული სესხები .....                                         | 11 |
| 12. ფული და ფულის ექვივალენტები .....                              | 12 |
| 13. გრძელვადიანი ვალდებულებები .....                               | 12 |
| 14. მიღებული ავანსები .....                                        | 12 |
| 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                            | 12 |


შპს "პალა"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არაუდიტირებული)                        | შენიშვნა | 2021        | 2020      |
|-----------------------------------------|----------|-------------|-----------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                | 5        | 2,934,819   | 104,373   |
| თვითღირებულება                          | 5        | (1,954,708) | (31,386)  |
| საერთო მოგება                           |          | 980,111     | 72,987    |
| სხვა შემოსავალი                         |          | -           | 17,259    |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი      |          | -           | (3,716)   |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი         | 6        | (73,369)    | (553,355) |
| საოპერაციო ზარალი                       |          | 906,742     | (463,109) |
| ფინანსური შემოსავალი                    |          | 39,077      | 18,617    |
| საკუროს ზარალი                          |          | (38,511)    | (789)     |
| ზარალი დაბეგვრამდე                      |          | 907,308     | (445,281) |
| მოგების გადასახადი                      |          |             | -         |
| წმინდა ზარალი                           |          | 907,308     | (445,281) |
| წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნილებელი: |          |             |           |
| სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე            |          | 765,219     | (428,117) |
| არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე     |          | 142,089     | (17,164)  |
|                                         |          | 907,308     | (445,281) |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

  
ლევან კალანდარიშვილი  
დირექტორი

4.11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## შპს “პალა”

## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არაუდიტირებული)                                   | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|----------------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                                    |          |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                       |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                               | 7        | 435,211              | 761,968              |
| არამატერიალური აქტივები                            |          | 2,129                | 2,640                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                   |          | <b>437,340</b>       | <b>764,608</b>       |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                          |          |                      |                      |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები                     | 8        | 3,287,566            | 4,158,535            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                         | 9        | 207,170              | 258,857              |
| საგადასახადო აქტივი                                | 10       | 849,655              | 1,173,212            |
| გადახდილი ავანსები                                 | 9        | 138,490              | 345,188              |
| გაცემული სესხები                                   | 11       | 1,202,490            | 428,750              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                        | 12       | 12                   | 380,177              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                      |          | <b>5,685,383</b>     | <b>6,744,719</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                                |          | <b>6,122,723</b>     | <b>7,509,327</b>     |
| <b>კაპიტალი</b>                                    |          |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                                 |          | -                    | -                    |
| გაუნაწილებელი მოგება                               |          | 65,776               | (699,443)            |
| <b>კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი</b> |          | <b>65,776</b>        | <b>(699,443)</b>     |
| არამაკონტროლებელი წილი                             |          | 106,182              | (35,907)             |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                |          | <b>171,958</b>       | <b>(735,350)</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                  | 13       | <b>393,498</b>       | <b>681,809</b>       |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>              |          | <b>393,498</b>       | <b>681,809</b>       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                     |          |                      |                      |
| მიღებული ავანსები                                  | 14       | 5,498,897            | 7,507,891            |
| სავაჭრო ვალდებულებები                              | 15       | 58,370               | 54,977               |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                 |          | <b>5,557,267</b>     | <b>7,562,868</b>     |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>               |          | <b>6,122,723</b>     | <b>7,509,327</b>     |

## შპს “პალა”

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ მშობელი<br>საწარმოს<br>კაპიტალი | არამაკონტრო-<br>ლებელი<br>წილი | სულ              |
|-----------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|-------------------------------------|--------------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2019</b>                            | <b>412,383</b>        | <b>(233,637)</b>        | <b>178,746</b>                      | <b>(56,432)</b>                | <b>122,314</b>   |
| საწესდებო კაპიტალის<br>შემცირება                    | (412,383)             | -                       | (412,383)                           | -                              | (412,383)        |
| წილის რეალიზაციასთან<br>დაკავშირებული<br>ცვლილებები |                       | (37,689)                | (37,689)                            | 37,689                         | -                |
| მიმდინარე წლის ზარალი                               | -                     | (428,117)               | (428,117)                           | (17,164)                       | (445,281)        |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>                            | <b>-</b>              | <b>(699,443)</b>        | <b>(699,443)</b>                    | <b>(35,907)</b>                | <b>(735,350)</b> |
| მიმდინარე წლის მოგება                               | -                     | 765,219                 | 765,219                             | 142,089                        | 907,308          |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>                            | <b>-</b>              | <b>65,776</b>           | <b>65,776</b>                       | <b>106,182</b>                 | <b>171,958</b>   |

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „პალა“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2018 წლის 29 მარტს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405261639.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბინების მშენებლობა და რეალიზაცია.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 11, ბინა 33

**კომპანიის მეწილეები:** კომპანიის მეწილეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                      | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|----------------------|----------------------|----------------------|
| შპს „პალა ჯგუფი“     | 80%                  | 80%                  |
| ლევან კალანდარიშვილი | 20%                  | 20%                  |

შპს პალა (შემდგომში კომპანია) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 83,7% შპს პალა-კვადრატ ჯგუფში (2020: 83,7%).

## 2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

### კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

**შვილობილი კომპანიები.** შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას დამატებული არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის<br>ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|-------------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                      | ევრო   |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 3.0976                                          | 3.5040 |
| 2020 წლის 31 დეკემბერი | 3.2766                                          | 4.0233 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

### ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                     | სასარგებლო<br>მომსახურების ვადა |
|---------------------------|---------------------------------|
| მანქანა-დანადგარები       | 3-5                             |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 7-10                            |
| საოფისე და სხვა ინვენტარი | 3-7                             |

**არამატერიალური აქტივები.**

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ და დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
  - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
  - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
  - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

**5. ბინების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და თვითღირებულება**

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში ჰქონდა რეალიზაციიდან შემოსავალი 2,934,819 ლარი, 2020 წელს - 104,373 ლარი, შესაბამისი თვითღირებულებით 1,954,708 და 31,386 ლარი.

**6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**

|                     | 2021            | 2020             |
|---------------------|-----------------|------------------|
| საკონსულტაციო ხარჯი | (29,356)        | (34,203)         |
| ხელფასის ხარჯი      | (11,771)        | (426,754)        |
| ცვეთის ხარჯი        | (10,025)        | (13,245)         |
| კომუნალური ხარჯი    | (3,739)         | (16,659)         |
| იჯარის ხარჯი        | (781)           | (13,650)         |
| სამეურნეო ხარჯი     | (2,154)         | (4,799)          |
| სხვა საერთო ხარჯი   | (15,543)        | (40,329)         |
| <b>სულ</b>          | <b>(73,369)</b> | <b>(549,639)</b> |

შპს “პალა”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

## 7. ძირითადი საშუალებები

|                             | მიწა      | საოფისე და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | მანქანა-<br>დანადგარები | სხვა     | სულ       |
|-----------------------------|-----------|------------------------------|-----------------------------|-------------------------|----------|-----------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b> |           |                              |                             |                         |          |           |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>    | 681,808   | 20,760                       | 33,871                      | 30,066                  | 21,575   | 788,080   |
| შემოსვლა წლის განმავლობაში  | -         | 6,617                        | 3,686                       | 8,593                   | -        | 18,896    |
| გასვლა                      | -         | -                            | -                           | -                       | -        | -         |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | 681,808   | 27,377                       | 37,557                      | 38,659                  | 21,575   | 806,976   |
| შემოსვლა წლის განმავლობაში  | -         | -                            | -                           | 15,661                  | -        | 15,661    |
| გასვლა                      | (288,310) | -                            | (33,871)                    | -                       | -        | (322,181) |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | 393,498   | 27,375                       | 3,686                       | 54,320                  | 21,575   | 500,454   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>      |           |                              |                             |                         |          |           |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>    | -         | (3,381)                      | (1,694)                     | (4,973)                 | (2,012)  | (12,060)  |
| წლის დარიცხული ცვეთა        | -         | (9,150)                      | (6,836)                     | (12,647)                | (4,315)  | (32,948)  |
| გასვლები                    | -         | -                            | -                           | -                       | -        | -         |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | -         | (12,531)                     | (8,530)                     | (17,620)                | (6,327)  | (45,008)  |
| წლის დარიცხული ცვეთა        | -         | (9,224)                      | (4,124)                     | (14,429)                | (4,313)  | (32,090)  |
| გასვლები                    | -         | -                            | 11,855                      | -                       | -        | 11,855    |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | -         | (21,755)                     | (799)                       | (32,049)                | (10,640) | (65,243)  |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>   |           |                              |                             |                         |          |           |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | 681,808   | 14,846                       | 29,027                      | 21,039                  | 15,248   | 761,968   |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | 393,498   | 5,620                        | 2,887                       | 22,271                  | 10,935   | 435,211   |

**შპს “პალა”**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

**8. სასაქონლო მატერიალური მარაგები**

|                        | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|------------------------|-------------------|-------------------|
| დაუმთავრებელი წარმოება | 3,200,166         | 2,300,821         |
| ნედლეული და მასალები   | 87,400            | 1,857,714         |
| <b>სულ</b>             | <b>3,287,566</b>  | <b>4,158,535</b>  |

**9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                          | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 205,377           | 241,409           |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 1,793             | 17,448            |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>        | <b>207,170</b>    | <b>258,857</b>    |
| გადახდილი ავანსები                       | 138,490           | 345,188           |
| <b>სულ</b>                               | <b>345,660</b>    | <b>604,045</b>    |

**10. საგადასახადო აქტივი**

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

**11. გაცემული სესხები**

|                                | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|--------------------------------|-------------------|-------------------|
| სესხი დაკავშირებული მხარისაგან | 1,144,796         | 410,133           |
| მისაღები პროცენტი              | 57,694            | 18,617            |
| <b>სულ</b>                     | <b>1,202,490</b>  | <b>428,750</b>    |

გაცემული სესხის რეკონსილაცია შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

|                      | 2021             | 2020           |
|----------------------|------------------|----------------|
| <b>საწყისი ნაშთი</b> | <b>428,750</b>   | <b>-</b>       |
| სესხის გაცემა        | 1,009,918        | 564,833        |
| სესხის დაფარვა       | (275,255)        | (154,700)      |
| დარიცხული პროცენტი   | 39,077           | 18,617         |
| <b>საბოლოო ნაშთი</b> | <b>1,202,490</b> | <b>428,750</b> |

შპს “პალა”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

## 12. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                         | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|-----------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფული ეროვნულ ვალუტაში                   | 6                 | 10,041            |
| ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში | 3                 | 44,478            |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში          | 3                 | 325,658           |
| <b>სულ</b>                              | <b>12</b>         | <b>380,177</b>    |

## 13. გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებების ნაშთი მოიცავს მიწის შეძენასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

## 14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოიცავდა კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს და შეადგენდა 5,498,897 ლარს (2020: 7,507,891 ლარი).

## 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                             | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 48,233            | 53,493            |
| გადასახდელი ხელფასები                       | 9,195             | 990               |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები             | 942               | 494               |
| <b>სულ</b>                                  | <b>58,370</b>     | <b>54,977</b>     |